საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 837/ი

16 09 2019 წ.

ქ. თბილისი

არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 10 სექტემბრის №1168174 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06 სექტემბრის №188/ნ ბრძანებით დამტკიცებული „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ბაღიშვილი

დანართი

არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი ადგენს არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა (შემდგომში - კონსულტანტი) შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის პირობებს.

მუხლი 2. კონსულტანტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. კონსულტანტის სტატუსის მოპოვება შეუძლია დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს და არ არის საჯარო მოხელე ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომელი.

2. კონსულტანტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) უმაღლესი განათლება ან/და პროფესიული განათლება;

ბ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

გ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

დ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

მუხლი 3. კონსულტანტთა შერჩევა

1. კონსულტანტთა შერჩევის მიზნით ცხადდება კონკურსი და განისაზღვრება კონკურსის ჩატარების ვადები. კონკურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

2. კონსულტანტთა შესარჩევი კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა)განაცხადის წარდგენა, რომელსაც ერთვის ავტობიოგრაფია (CV) და კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რაც ადასტურებს განმცხადებლის შესაბამისობას მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა;

გ) ტრენინგის გავლა;

დ) დავალების შესრულება და შეფასება;

ე) სერტიფიცირება.

3. კონსულტანტთა შერჩევის პროცედურა შესაძლებელია ითვალისწინებდეს ამ მუხლისგან განსხვავებულ პირობებს, ან/და დამატებით ეტაპ(ებ)ს, რაც განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტრენინგი შეეხება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიზნებსა და გამოყენების შესაძლებლობებს, არაფორმალური განათლების აღიარების ეტაპებსა და პროცედურას, კონსულტანტთა როლსა და ფუნქციებს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების სტრუქტურასა და შინაარსს.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიზნით, იქმნება არანაკლებ 3 კაციანი კომისია.

6. კომისია, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ცენტრის დირექტორს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას, რომელსაც ამზადებს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
7. სერტიფიკატის ვადის გასვლის შემდეგ, კონსულტანტის შერჩევა და ხელახალი სერტიფიცირება ხდება მის მიერ შესრულებული სამუშაოს (კონსულტირების ფორმის), (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანალიზისა და დავალების გზით შეფასების საფუძველზე.

მუხლი 4. კონსულტანტთა სერტიფიცირება, კონსულტანტთა რეესტრი
1. შერჩეულ კონსულტანტებზე გაიცემა სერტიფიკატი 3 წლის ვადით. ვადის ათვლა იწყება კონსულტანტის სტატუსის მინიჭების შესახებ ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის თარიღიდან.
2. ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების აღიარების მართვის ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) სერტიფიცირებულ კონსულტანტთა შესახებ ინფორმაციის ასახვას, რომელშიც განსაზღვრული იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია:
ა) კონსულტანტის სახელი, გვარი;
ბ) ტრენინგის გავლის თარიღი;
გ) სერტიფიკატის გაცემის და მოქმედების ვადები;
დ) არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 5. კონსულტანტთა ფუნქციები და საქმიანობის პრინციპები
1. კონსულტანტის ფუნქციებია:
ა) არაფორმალური განათლების აღიარების წესის შესაბამისად სამუშაოს შესრულება;
ბ) მაძიებლის ინფორმირება არაფორმალური განათლების აღიარების მიზნების შესახებ;
გ) მაძიებლის ინფორმირება არაფორმალური განათლების აღიარებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის, პროცედურების, ეტაპებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ;
დ) მაძიებლის ინფორმირება არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესახებ;
ე) კონსულტირების ფორმის შედგენა, შესაბამისი დოკუმენტების (მტკიცებულებების) შეგროვება და ამღიარებელი დაწესებულებისათვის ან/და აღიარების კომისიისათვის მიწოდების უზრუნველყოფა;
ვ) ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე სხვა აქტივობები.
2. კონსულტანტი სამუშაოს ასრულებს ამღიარებელი დაწესებულებისგან დამოუკიდებლად, პირადი პასუხისმგებლობით.

მუხლი 6. ცენტრის წარმომადგენელის მიერ კონსულტანტთა საქმიანობის შეფასება
1. კონსულტანტთა საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს კონსულტანტთა საქმიანობაზე დაკვირვება, რომელიც გულისხმობს ამ წესით განსაზღვრული ფუნქციებისა და ცენტრის მეთოდოლოგიის დაცვით საქმიანობის შეფასებას.
2. კონსულტანტთა საქმიანობის შესახებ ცენტრში მზადდება წლიური ანგარიში, რომელშიც ასახულია ინფორმაცია კონკრეტული კონსულტანტ(ებ)ის მიერ განხორციელებული აქტივობა/აქტივობები და გამოვლენილი შედეგების შესახებ. ანგარიში წარედგინება ცენტრის დირექტორს სერტიფიცირებიდან ყოველი ერთი წლის თავზე.

მუხლი 7. კონსულტანტის სტატუსის შეწყვეტა

1. კონსულტანტის სტატუსის ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) კონსულტანტის პირადი განცხადება;

ბ) კონსულტანტის საქმიანობის შეფასების შედეგად გამოკვეთილი ხარვეზები;

გ) ინტერესთა კონფლიქტი, მათ შორის კონსულტანტის დაინტერესებულ მხარესთან შრომით ურთიერთობაში ყოფნის შესახებ ინფორმაცია;

დ) ცენტრის მიერ დაგეგმილ და ჩატარებულ ტრენინგებში, სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობაზე არანაკლებ ორჯერ უარის თქმა;

ე) კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემური ცვლილებების ან/და კონსულტანტთა ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის ან/და მათი საქმიანობის წესის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონსულტანტთა ახალი შემადგენლობის ფორმირების შესახებ.

მუხლი 8. კონსულტანტის საქმიანობის გასაჩივრება

1. ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით, კონსულტანტის სტატუსის შეწყვეტის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოება იწყება წერილობითი განცხადების საფუძველზე ან/და ცენტრის ინიციატივით.

2. წერილობითი განცხადება, გარდა მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებისა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს;

გ) კონსულტანტის სახელსა და გვარს;

დ) ჩადენილი გადაცდომის დასაბუთებას;

ე) გადაცდომის ჩადენის ადგილსა და დროს;

ვ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ზ) განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული სისტემის შექმნამდე, გამჭვირვალობისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სერტიფიცირებულ კონსულტანტთა შესახებ ინფორმაცია აისახება ცენტრის ვებ-გვერდზე.